ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის ამაღლების სტრატეგია (2019-2022)

სარჩევი

შესავალი 3

სტრატეგიის შემუშავების პროცესი და სახელმძღვანელო პრინციპები 4

არსებული გამოწვევები 5

ახალციხის მერიის მიზნები და ამოცანები 6

1. ეთიკისა და კეთილსინდისიერების მექანიზმების გაუმჯობესება 7

2. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება 8

4. საზოგადოებრივი ჩართულობის და ზედამხედველობის მექანიზმების გაძლიერება 9

5. ახალციხის მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტანდარტების გაუმჯობესება 10

6. კონკურენციის გაზრდა სახელმწიფო შესყიდვებში 11

დასკვნა 12

შესავალი

2011 წლიდან საქართველო აქტიურად მონაწილეობს ღია მმართველობის პარტნიორობაში (OGP), რომელიც გამჭვირვალე, ეფექტური და ანგარიშვალდებული მმართველობის ჭრილში მნიშვნელოვან ინიციატივას წარმოადგენს. 2014 წელს საქართველო არჩეული იქნა როგორც OGP-ს მმართველი კომიტეტის წევრი, 2016 წლიდან საქართველო, საფრანგეთთან ერთად, OGP-ს თანათავმჯდომარე ქვეყანა, ხოლო 2017 წელს 1 წლით თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. OGP-ს ფარგლებში საქართველომ უკვე შეასრულა სამი ეროვნული სამოქმედო გეგმა და 2018 წლის ნოემბერში დაამტკიცა მეოთხე, ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია საქართველოს იმ რამდენიმე მუნიციპალიტეტს შორის არის, რომლებიც 2016 წელს, შეუერთდნენ OGP-ის. ამით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ მკაფიოდ გამოხატა მზაობა, რომ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გაატაროს დემოკრატიული მმართველობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი რეფორმები და დანერგოს საუკეთესო პრაქტიკა

OGP-ში მონაწილეობის პროცესში ახალციხის მუნიციპალიტეტს მერიას მრავალმხრივ მხარდაჭერას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში (USAID GGI).

ღია მმართველობის პარტნიორობის 2016-2017 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია წარდგენილი იყო ერთი ვალდებულებით, რომელიც მოიცავდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემის შემუშავებას. აღნიშნული ვალდებულება , ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ USAID GGI-ის და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მხარდაჭერით წარმატებით შეასრულა იგი.

ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია დამატებით სამი ახალი ვალდებულებით არის წარდგენილი(1) გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება (2) ღია მონაცემების შეგროვებისა და გამოქვეყნების პროცესის გაუმჯობესება და (3) მუნიციპალიტეტებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართულობისა და მონაწილეობის გაუმჯობესება.[1]

პროფესიული და თანამედროვე საჯარო სამსახურის სისტემა თავის თავში მოიაზრებს ანგარიშვალდებულ, გამჭვირვალე, კეთილსინდისიერებაზე და მიუკერძოებლობაზე დაფუძნებული სისტემის ფორმირებას, სადაც კორუფციისგან თავისუფალი და ეთიკური გარემოს ჩამოყალიბებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის პრინციპების რეალურ და საზოგადოებისთვის ხელშესახებ მექანიზმებად გარდაქმნა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისთვის წარმოადგენს მმართველობის ხარისხის, მისი ეფექტურობისა და დემოკრატიულობის ამაღლების პრიორიტეტს, რაც პირდაპირ აისახება მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა კეთილდღეობაზე. გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების მაღალი ხარისხის მიღწევა და შენარჩუნება აუცილებელია ახალციხის მერიის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდისთვის და შესაძლო კორუფციული რისკების პრევენციისათვის. კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის მექანიზმების სისტემური სრულყოფის

[1] ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა, ვალდებულება 1, 2 და 3,

თვალსაზრისით კარგ პრაქტიკად მიიჩნევა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სექტორული სტრატეგიების შექმნა.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგია წარმოადგენს ჩარჩოს, რომლითაც იხელმძღვანელებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის განმტიკიცების პროცესში. სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელება, ქმნის პოტენციალს თვისობრივად შეიცვალოს მმართველობითი პროცესები მუნიციპალიტეტში.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია არის საქართველოში ერთ-ერთი პირველი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომელმაც გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების ინდივიდუალური სტრატეგია შექმნა. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობამ უზრუნველყო განსხვავებული ხედვების და მოსაზრებების გათვალისწინება სტრატეგიის შექმნის პროცესში. ამ მხრივ, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) თანამშრომლობა წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს. კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების ამაღლების სტრატეგიის შემუშავებაში მნიშვნელოვანი იყო ასევე საერთაშორისო დონორის დახმარება, რისი კარგი მაგალითიცაა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისა და USAID GGI-ის წარმატებული პარტნიორობა.

აღნიშნული კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერია გააგრძელებს კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების ამაღლების სტრატეგიის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურ თანამშრომლობას.

სტრატეგიის შემუშავების პროცესი და სახელმძღვანელო პრინციპები

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ხელმძღვანელობით რომელიც შედგებოდა მერიის 8 სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელისგან.[2]

საწყის ეტაპზე, IDFI-იმ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის, მერიის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განახორციელა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის არსებული სისტემის ანალიზი[3], რის შედეგადაც გამოვლინდა კომპლექსური გამოწვევები, რომელიც საჭიროებს შესაბამის რეაგირებას.

სიტუაციურ ანალიზში გამოკვეთილი გამოწვევებისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ IDFI-ისთან მჭიდრო

---

[2] სამუშაო ჯგუფის წევრები: ქალაქ ახალციხის მერის მოადგილე; ახალციხის მერიის - ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი; საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი; ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელი; სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი; განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი; შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის ხელმძღვანელი; ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი.

[3] სიტუაციური ანალიზი მომზადდა IDFI-ს მიერ და წარმოადგენს უწყების შიდა მოხმარების დოკუმენტს, სადაც მოცემულია ორგანიზაციის ხედვა არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

თანამშრომლობითა და საჯარო კონსულტაციების გზით შეიმუშავა წინამდებარე გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია 2019-2022 წლებისთვის, ხოლო სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისთვის მერიამ მოამზადა ორ წლიანი (2019-2020) დეტალური სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია არსებული გამოწვევების გადაჭრის კონკრეტული ღონისძიებები.

წინამდებარე კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის ამაღლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ასევე ფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს მსგავსი დოკუმენტების შემუშავების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზს და სტრატეგიით გაწერილი ამოცანების შესასრულებლად ცალკეული აქტივობების განსაზღვრას.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის ამაღლების სტრატეგია შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიით გათვალისწინებულ მიზნებთან და ამოცანებთან. სტრატეგიის შემუშავების პროცესში ახალციხის მერია ეყრდნობოდა ფაქტობრივი მონაცემებით გამყარებულ ანალიზს, რაც სტრატეგიის სამომავლო მდგრადობას და ეფექტიანობას შეუწყობს ხელს.

წინამდებარე სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში, ახალციხის მერია იხელმძღვანელებს სამოქალაქო ჩართულობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებით.

არსებული გამოწვევები

კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობასთან დაკავშირებული გარემოს მრავალმხრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სხვადასხვა სფერო, სადაც არსებობს შემდგომი გაუმჯობესების პოტენციალი.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოწვევად რჩება, დიდი მოცულობის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ ინფორმაციის დროული დამუშავება, რაც ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერებას და შიდა პროცესების დახვეწას საჭიროებს.

გამოწვევად რჩება მერიის ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა. მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ე.წ. ღია მონაცემების ფორმატში. ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში ახალციხის მერიის ერთ-ერთი ვალდებულებაა სწორედ ღია მონაცემების შეგროვებისა და გამოქვეყნების პროცესის გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია საჭიროებს უფრო ფართო ხელმისაწვდომობას. დასახვეწია მათი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტები.

საჭიროებების შეფასების ფარგლებში გამოიკვეთა როგორც შიდა ნორმატიული ბაზის დახვეწის საჭიროება, ისე მერიის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარების საჭიროება ეთიკის, კეთილსინდისიერებისა და მამხილებელთა დაცვის მიმართულებით.

ახალციხის მერიაში მოქმედი მოხელეთა პროფესიული განვითარების სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული საჭიროებების მიხედვით დასაქმებულთა გადამზადება და მათი პროფესიული ზრდა, საჭიროებს გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება და ტარდება პროფესიული განვითარების ზოგიერთი ღონისძიება, აღნიშნულ პროცესს არ აქვს სისტემური მიდგომა.

ახალციხის მერიისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა სამოქალაქო ჩართულობის დაბალი დონე. მიუხედავად შესაბამისი მექანიზმების არსებობისა, იქნება ეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, მოქალაქეთა პეტიციების ელექტრონული სისტემა, თუ ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული მოდული, დაბალია მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა ცნობადობა

აღნიშნული მექანიზმების შესახებ, ისევე როგორც მოქალაქეების მიერ ამ მექანიზმების გამოყენების სიხშირე.
საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, ახალციხის მერიის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში დაბალია კონკურენციის ხარისხი, რაც ამცირებს საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობას და შედეგიანობას.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიზნები და ამოცანები

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიის შემუშავება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ხაზს უსვამს მუნიციპალიტეტის მზადყოფნას, ხელი შეუწყოს საკუთარ ინსტიტუციურ განვითარებას.

ახალციხის მერიის მიზანია ანგარიშვალდებულების, კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის არსებული სისტემის გაუმჯობესება, მერიის საქმიანობისადმი საზოგადოებრივი ნდობის გაზრდა და კორუფციის რისკების პრევენციის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა.

ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების არსებული სისტემის გაუმჯობესება გულისხმობს მერიაში იმ ინსტრუმენტების განვითარებას, რომლებიც შესაძლო კორუფციულ რისკებზე მერიის პროაქტიულ რეაგირებას უზრუნველყოფს - როგორიცაა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები მამხილებელთა დაცვის საკითხებზე. გამჭვირვალობის სისტემის გაუმჯობესება მოიცავს საჯაროობის არსებული პრაქტიკის დახვეწას, ისევე როგორც თანამედროვე გამჭვირვალობის მექანიზმების შემოღებას მერიის სისტემაში, როგორიცაა - მონაცემთა წარმოება ღია მონაცემების ფორმატში. კორუფციის პრევენციის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა გულისხმობს ისეთი ინსტრუმენტების შემუშავება-გამოყენებას, რომლებიც კორუფციულ რისკებზე მყისიერი და ეფექტიანი რეაგირების საშუალებას იძლევა.

ამასთანავე, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიზანია ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიით გათვალისწინებულ ძირითად მიზნებთან და ამოცანებთან დაახლოება. სტრატეგიის ამოცანები დაფუძნებულია ე.წ. 4P (Pursue, Prevent, Protect, Prepare) პრინციპზე, რაც გულისხმობს კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების კუთხით არსებული გამოწვევების შესწავლას, საფრთხეების პრევენციას, დაცვის მექანიზმების დანერგვას და მომხდარი შემთხვევების ზიანის შემცირებას.

სტრატეგიით განსაზღვრული **მიზნების მისაღწევად და არსებული გამოწვევების ანალიზის გათვალისწინებით, გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ამოცანები:**

1. ეთიკისა და კეთილსინდისიერების მექანიზმების გაუმჯობესება;
2. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება;
3. ახალციხის მერიაში გამჭვირვალობის სტანდარტების დახვეწა;
4. საზოგადოებრივი ჩართულობის და ზედამხედველობის მექანიზმების გაძლიერება;
5. ახალციხის მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების გაუმჯობესება;
6. კონკურენციის გაზრდა სახელმწიფო შესყიდვებში.

1. ეთიკისა და კეთილსინდისიერების მექანიზმების გაუმჯობესება

მუნიციპალიტეტის მერია ძალისხმევას მიმართავს ეთიკისა და კეთილსინდისიერების მექანიზმების გაუმჯობესებისკენ, რაც გაზრდის მერიის მიმართ საზოგადოების ნდობას და უზრუნველყოფს მისი ფუნქციების ეფექტიან შესრულებას. ეთიკის და კეთილსინდისიერების მექანიზმების გაუმჯობესებისათვის, მერია 3 ძირითადი მიმართულებით იმუშავებს:
1. შიდა რეგულაციების სრულყოფა ეთიკური ნორმების დახვეწის თვალსაზრისით;

2. მამხილებელთა ინსტიტუტის განმტკიცება და მხარდაჭერა[4].
3. ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება.

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია:

⇒ გააუმჯობესებს ეთიკასთან და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ შიდა რეგულაციებს. განახლდება შინაგანაწესი, რომელიც გაითვალისწინებს ქცევის წესებს, ეთიკის პრინციპებს, დისციპლინური გადაცდომის ფორმებს, ნეპოტიზმის და შრომის დისციპლინის საკითხებს.

⇒ ინტენსიურად იმუშავებს თანამშრომლებში ეთიკისა და კეთილსინდისიერების მექანიზმების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. მერიის თანამშრომლებისთვის დაიგეგმება და განხორციელდება საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები.

⇒ ჩაატარებს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს მამხილებელთა დაცვის საკითხებზე მის სისტემაში შემავალი ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის.

⇒ რომელიმე არსებულ საშტატო ერთეულს დაუმატებს კეთილსინდისიერების საკითხების კოორდინაციაზე პასუხისმგებლობას. მის ფუნქციებში ასევე შევა ეთიკის კუთხით გარემოს გაუმჯობესება, ეთიკასთან და ინტერესთა შეუთავსებლობასთან დაკავშირებულ შემთხვევების აღრიცხვა-მონიტორინგი და ეთიკის ნორმების დაცვასთან დაკავშირებული კონსულტაციების გამართვა მერიის თანამშრომლებთან.

⇒ ჩატარებული ღონისძიებების მდგრადობისთვის და კადრების გადინების ან ხელმძღვანელობის ცვლილებით გამოწვეული რისკების შესამცირებლად შეიმუშავებს ეთიკისა და მამხილებელთა დაცვის პრაქტიკული სახელმძღვანელოს, რომელიც გაუადვილებს მერიის მოქმედ და ახალ თანამშრომლებს ეფექტიანად გამოიყენონ ეთიკისა და კეთილსინდისიერების მექანიზმები.

2. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება

მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და განვითარება, მოქალაქეებისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესების ნაწილში, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია მიმართავს ძალისხმევას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ეფექტური დანერგვისკენ, რაც გულისხმობს ორი ძირითადი მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესებას - 1. ადამიანური რესურსების მდგრადობის უზრუნველყოფა 2. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება.

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია:

⇒ შეიმუშავებს მერიაში ახლად დასაქმებული საჯარო მოხელეებისთვის ინდუქციურ (გაცნობით) სახელმძღვანელოს, რომელიც მერიის ახალ თანამშრომლებს დაეხმარება უკეთესად გაეცნონ დაწესებულების საქმიანობას, მასში მოქმედ რეგულაციებს და

[4] საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის, მუხლი 201-ის მიხედვით მხილება არის პირის მიერ შესაბამისი ორგანოს ინფორმირება საჯარო მოსამსახურის მხრიდან ჩადენილი შესაძლო კანონდარღვევის ან ეთიკური გადაცდომის შესახებ, რომელმაც შესაძლოა დააზიანოს დაწესებულების რეპუტაცია ან საჯარო .

წესებს, ორგანიზაციულ კულტურას და სხვა ტიპის საჭირო ინფორმაციას. ამ ტიპის გაცნობითი სახელმძღვანელოს ფუნქციაა, დაწესებულებაში ახლად დასაქმებული უზრუნველყოს საჭირო ცოდნით და გაუმარტივოს მას სამუშაო გარემოსთან ადაპტაცია.

⇒ განხორციელებს მერიის ფუნქციური ანალიზს. აღნიშნული ანალიზის მიზანი იქნება მერიის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა და მისი მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა. ფუნქციური ანალიზი განხორციელდება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გამოცემული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ გზამკვლევის მიხედვით.[5]

3. გამჭვირვალობის სტანდარტების დახვეწა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში

ახალციხის მერია აცნობიერებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას გამჭვირვალე გარემოს ჩამოყალიბებისათვის. ინფორმაციის საჯაროობა ამტკიცებს საზოგადოების ნდობას ხელისუფლების მიმართ, რაც სასიკეთოდ აისახება მოხელეთა კეთილსინდისიერებაზე და მათ ეფექტიან მუშაობაზე. ახალციხის მერია ასევე ხაზს უსვამს გამჭვირვალობის არსებული სტანდარტების გაუმჯობესების საჭიროებას მერიაში ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების, ადამიანური რესურსების, ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების პრაქტიკის და ღია მონაცემების წარმოების მხრივ.

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია:

⇒ მიმართავს ძალისხმევას, რათა დახვეწოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტები. მერია შეიმუშავებს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შესახებ დადგენილების ცვლილების პროექტს და გააფართოებს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის XVI თავის, ისევე როგორც ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შესახებ დადგენილების მიხედვით. ასევე, შემუშავდება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დამუშავების შიდა რეგულაცია, რომლის მიზანი ინფორმაციის გაცემის პროცედურის ეფექტიანობის ამაღლება იქნება.

⇒ უზრუნველყოფს მერიაში და მის დაქვემდებარებულ სტრუქტურებში საჯარო ინფორმაციის დამუშავებაზე, გაცემაზე და გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების გადამზადებას.

⇒ შეიმუშავებს ღია მონაცემების წარმოების და გამოქვეყნების ინსტრუქციას, რომელიც დაეფუძნება ღია მონაცემთა საერთაშორისო ქარტიაში გათვალისწინებულ პრინციპებს.[6]

⇒ უზრუნველყოფს მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირების გადამზადებას ღია მონაცემების წარმოება-დამუშავებაში.

---

[5] *"ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის სახელმძღვანელო პრინციპები"*, საჯარო სამსახურის ბიურო, http://csb.gov.ge/uploads/geo_1.pdf.

[6] ღია მონაცემების ქარტიის ძირითადი პრინციპები, https://opendatacharter.net/

⇒ უზრუნველყოფს, რომ შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური ხელი შეუწყოს ახალციხის მერიის ღიაობის და გამჭვირვალობის გაუმჯობესებას.

4. საზოგადოებრივი ჩართულობის და ზედამხედველობის მექანიზმების გაძლიერება

ახალციხის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ადგილობრივი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას, ისევე როგორც დასახლების საერთო კრების და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სამუშაო რეგლამენტს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დასახლების საერთო კრების ტიპური დებულება.[7] 2018 წელს, ახალციხის მერიაში დაინერგა საზოგადოებრივი ჩართულობის კიდევ ერთი მექანიზმი - ელექტრონული პეტიციების სისტემა. ახალციხის საკრებულოს რეგლამენტში არსებობს პეტიციის წესით შემოტანილ წინადადებათა და ნორმატიული აქტების პროექტთა განხილვის მუხლები,[8] ასევე მოხდა შესაბამისი ელექტრონული ინფრასტრუქტურის შემუშავება ახალციხის მერიის ვებგვერდის სისტემაში. ახალციხის მერიის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის არსებული კარგი პრაქტიკის მიუხედავად, აუცილებელია მოქალაქეთა მონაწილეობის არსებული მექანიზმების გაუმჯობესება, პოპულარიზება და მათ შესახებ საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლება.

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია:

⇒ უზრუნველყოფს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მუშაობის პროცესის მაქსიმალურ გამჭვირვალობას.

⇒ უზრუნველყოფს ელექტრონული პეტიციების სისტემის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მაქსიმალურად მიწოდებას, რათა გაიზარდოს ელექტრონული პეტიციის მოდულის მომხმარებელთა რაოდენობა.

⇒ მიმართავს ძალისხმევას რათა დახვეწოს ბიუჯეტირებისას მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმი. ახალციხის მერია უზრუნველყოფს ბიუჯეტის პროექტის წარდგენამდე საჯარო კონსულტაციების ჩატარებას.

⇒ მოქალაქეებს მაქსიმალურად მიაწვდის ინფორმაცია მერიის ვებგვერდზე - www.akhaltsikhe.gov.ge არსებული ბიუჯეტის დაგეგმარების ელექტრონული მოდულის შესახებ. ახალციხის მერია მოქალაქეებს მიაწვდის ინფორმაციას პირისპირ შეხვედრებისას, ისევე როგორც მერიის ვებგვერდისა და Facebook გვერდზე ინფორმაციის გავრცელების გზით.

⇒ ასევე, მოქალაქეთა ჩართულობის გამარტივების მიზნით შეიმუშავებს მოქალაქეთა მონაწილეობის და კომუნიკაციის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტს.

5. ახალციხის მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტანდარტების გაუმჯობესება

---

[7] ქალაქ ახალციხის საკრებულოს დადგენილება №46 ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ, 23 დეკემბერი, 2015

[8] ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №1 ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 14 ივლისი 2014, მუხლი 94

ეთიკისა და კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ახალციხის მერიის საქმიანობით და თანამშრომლებით. მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტები ასევე იყოს დანერგილი ახალციხის მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში. სტრატეგიის შემუშავების პერიოდში, ახალციხის მუნიციპალიტეტის განკარგულებაში იმყოფებოდა 12 არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი და ორი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს „კეთილმოწყობა“ და შპს „სავანე“. ახალციხის მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ასამაღლებლად რამდენიმე ნაბიჯი იქნება გადადგმული.

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია:

⇒ გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით მერიის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს ინფორმაციას იურიდიული პირების საქმიანობის, განხორციელებული ღონისძიებების, საშტატო ნუსხის, თანამდებობის პირების, შესყიდვების გეგმების, ბიუჯეტის შესრულების და ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ.

⇒ უზრუნველყოფს, რომ ახალციხის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების ბიუჯეტები და მათი შესრულების ანგარიშები გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე.

⇒ უზრუნველყოფს ახალციხის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშების მომზადებას რომელიც ინტეგრირებული იქნება მერიის ყოველწლიურ ანგარიშში.

⇒ უზრუნველყოფს ეთიკის და კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარებას ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის თანამშრომლებისთვის

6. კონკურენციის გაზრდა სახელმწიფო შესყიდვებში

სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანად განხორციელება ახალციხის მერიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია შესყიდვების განხორციელებისას სრულად იცავს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობას, ისევე როგორც საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მეთოდურ მითითებებს. თუმცა, მერიის გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში კონკურენციის საშუალო მაჩვენებელი ჩამორჩება ქვეყნის მასშტაბით პრეტენდენტთა საშუალო რაოდენობას.[9] დაბალი კონკურენცია სახელმწიფო შესყიდვებში ამცირებს საჯარო ფინანსების განკარგვის ეფექტიანობას. შესაბამისად, განხორციელდება შესყიდვებში კონკურენციის გაზრდისკენ მიმართული აქტივობები.

⇒ აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია: კონკურენციის გასაზრდელად და ხარჯების არაეფექტიანად განკარგვის რისკების შესამცირებლად პერიოდულად ჩაატარებს შეხვედრებს პოტენციურ მიმწოდებლებთან მათი საჭიროებებისა და კონკურენციის შემზღუდველი გარემოებების დასადგენად და გამოავლენს კონკურენციის კუთხით განსაკუთრებით პრობლემურ სფეროებს.

[9] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2017 წლის ანგარიში, გვ.17

⇒ გააუმჯობესებს სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმების შედგენის პრაქტიკას, რაც გულისხმობს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მიღმა ალტერნატიული, მეტად დეტალური წლიური გეგმების შექმნას და გავრცელებას პოტენციურ მიმწოდებლებში.

⇒ მიმართავს ძალისხმევას, რათა პოტენციური შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიიღოს მომწოდებლების უფრო ფართო სპექტრმა. სამომავლო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული პორტალის გამოყენების გარდა, მერია აქტიურად გამოიყენებს როგორც საკუთარი ვებგვერდს, ისე Facebook გვერდს, რომელსაც ამჟამად ჰყავს 8,598 გამომწერი.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განსახორციელებლად ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია მზად არის გასწიოს შესაბამისი ძალისხმევა. ამავდროულად ხაზი უნდა გაესვას ამ პროცესში დონორების ჩართულობის მნიშვნელობას და მათი მხრიდან ტექნიკური და საექსპერტო მხარდაჭერის საჭიროებას.

დასკვნა

მუნიციპალურ დონეზე დემოკრატიული მმართველობისა უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის, როგორც თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოსადმი, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ნდობის ამაღლება. ნდობის ამაღლება, პირველ რიგში, დემოკრატიული მმართველობის პრინციპების განმტკიცებით არის შესაძლებელი. წინამდებარე სტრატეგია, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაუმჯობესებით, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ამასთანავე, ახალციხის მუნიციპალიტეტში კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის სისტემის გაუმჯობესება მკაფიოდ ეხმიანება წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების (OECD, GRECO) რეკომენდაციებს და იმ პრინციპებსა და ვალდებულებებს, რომელიც საქართველომ OGP-ის ფარგლებში აიღო.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის მიზნების მისაღწევად, დოკუმენტში მოყვანილი ექვსივე ამოცანის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებები ასახულია 2 წლიან სამოქმედო გეგმაში. სამოქმედო გეგმის განხორციელების შემდეგ ჩატარდება ე.წ. *ex post* შეფასება. ინდიკატორებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შემდეგ მოხდება სტრატეგიის გადახედვა და იმ დროისთვის არსებული გამოწვევების გათვალისწინებით მისი განახლება, მერია ასევე უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებას და მის ფართოდ გავრცელებას.

სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების გადაჭრა, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების განვითარება ხელს შეუწყობს ახალციხის მერიაში კეთილსინდისიერების პრინციპის განმტკიცებას, ეთიკისა და კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტების დანერგვას და ამოქმედებას:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის სისტემაში შემავალ სუბიექტებში გაუმჯობესდება საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის სტანდარტები. აღნიშნული ხელს შეუწყობს მერიის საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდას.

- მერიაში გაუმჯობესდება ეთიკის მარეგულირებელი შიდა რეგულაციები და ამაღლდება ეთიკის პრინციპების შესახებ თანამშრომელთა ცნობიერება, რაც ხელს შეუწყობს კეთილსინდისიერი გარემოს განვითარებას.
- საზოგადოებრივი ჩართულობის ყველა შესაძლო მექანიზმის ამოქმედებით და გაძლიერებით, გაიზრდება მერიის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის ნდობა და გაუმჯობესდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხი.
- მერიაში გაუმჯობესდება ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, რაც გაზრდის მერიის მუშაობის ეფექტიანობას და ხარისხს და ასევე უზრუნველყოფს მისი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას.
- პოტენციურ მომწოდებლებთან მეტი კომუნიკაციის გზით, მერია წაახალისებს კონკურენციას სახელმწიფო შესყიდვებში, რითიც შეამცირებს კორუფციულ რისკებს და გაზრდის საჯარო რესურსების ხარჯვის ეფექტიანობას.